უკრაინის ავტოკეფალისტური საეკლესიო მოძრაობის მოკლე მიმოხილვა

დეკანოზი ილია ჭიღლაძე

თანამედროვე უკრაინის, ბელორუსიის და რუსეთის ტერიტორიაზე 988 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ თავისი ომოფორის ქვეშ დააფუძნა კიევის მიტროპოლია, ანუ სამიტროპილიტო, რომელიც კონსტანტინოპოლს ექვემდებარებოდა საუკუნეების მანძილზე და კონსტანტინოპილის პატრიარქები ადგენდნენ კიევის მიტროპილიტებს ვიდრე 1685 წლამდე, როდესაც რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლების უკანონო და ძალისმიერი ქმედებით ეს სამიტროპოლიტო მიითვისა იმხანად ერთი საუკუნის წინ დაარსებულმა მოსკოვის საპატრიარქომ.[1] აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქ დიონისეს სიგელი, რომლითაც მოსკოვის პატრიარქს ეძლეოდა კიევის მიტროპოლიტის კურთხევის უფლება, მოსკოვის საპატრიარქოს მიერ კიევის საყდრის დე-ფაქტო მითვისებიდან ერთი წლის შემდეგ, 1686 წელს დაიწერა და იგი მოსკოვის პატრიარქს მხოლოდ იმ პირობით ანიჭებდა კიევის მიტროპოლიტის კურთხევის უფლებას, თუ ეს უკანასკნელი წირვა-ლოცვაში გააგრძელებდა მსოფლიო პატრიარქის მოხსენიებას.[2] მოსკოვის მითითებით, ეს მოთხოვნა უგულებელყოფილ იქნა და არ შესრულდა კიევის ახალი მიტროპოლიტებისგან: მათ მოსკოვის პატრიარქების მოხსენიება დაიწყეს. ხაზგასასმელია, რომ კონსტანტინოპოლის კუთვნილი კიევის მიტროპოლიისგან 1461 წელს თვითნებურად და არაკანონიკურად მოხდა მოსკოვის მიტროპოლიის გამოყოფა და ჩამოყალიბება, რომელიც

[1] დაწვრ. იხ., დეკანოზი ბასილ კობახიძე, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარსული და დღევანდელობა, ჟურნ. „ზღვარი“, №1(6), 2006.
[2] დაწვრ. იხ., ივანე (ვანო) შოშიაშვილი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს 1686 წლის ტომოსი, <https://bit.ly/2JzJrsC> [17.02.2019]

საუკუნეზე მეტ ხანს თვითგამოცხადებულ, არაკანონიკურ ავტოკეფალიას წარმოადგენდა და მხოლოდ 1589 წელს მიიღო თავისი დედა-ეკლესიისგან, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან, ავტოკეფალიის დასტური და საპატრიარქო ტიტული. ამდენად, მოსკოვის საპატრიარქო, ანუ რუსეთის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია თავადაა თვითნებური და არაკანონიკური გზებით ჩამოყალიბებული XV-XVI საუკუნეებში და კანონიკური სტატუსის მოპოვებისთვის საუკუნეზე მეტი ხანი იბრძოდა. XVII-XVIII საუკუნეებში მოსკოვის კათედრა გვევლინება ახალი უკანონობის ჩამდენად: მიიერთა სხვა საპატრიარქოს მიტროპოლია და ეპარქიები უკრაინის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ 1685 წელს კიევის კათედრის მიტაცების შემდგომაც, კიევის სამიტროპოლიტოს ბევრი ეპარქია, რომლებიც მოსკოვის სამეფოს საზღვრებს გარეთ იყვნენ, ისევ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რჩებოდნენ და რომანოვების იმპერიის გაფართოების პარალელურად, მოსკოვის საპატრიარქო თანდათან ახდენდა მათ მითვისებას, რასაც გასაგები მიზეზების გამო (ე.ი. ოსმალთა სისხლიანი ბატონობა), უკიდურესად დასუსტებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქო წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ეპარქიათა მითვისება-დაპყრობის ეს პროცესი უკრაინის და ბელორუსიის ტერიტორიებზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასრულდა. ამ ქმედებებით მოსკოვის საპატრიარქომ დაარღვია არა მხოლოდ ეფესოს მესამე მსოფლიო წმინდა კრების მერვე კანონი[3], არამედ მე-10 საუკუნიდან დაფუძნებული ისტორიული საეკლესიო ტრადიცია და წესი.

1917 წელს, რომანოვების რუსეთის იმპერიის დაცემისთანავე, უკრაინაში დაიწყო დიდი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა სახელმწიფოებრიობის აღდგენის, უკრაინის ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოსგან გათავისუფლებისა და ავტოკეფალიის მოპოვებისთვის. უკრაინელი სამღვდელოების დიდი ნაწილი მხარს

[3] დიდი სჯულისკანონი, მ. დოლაქიძის და გ. ნინუას მიერ მომზადებული ახალქართული ვერსია, თბილისი, 2009, 111.

უჭერდა უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის დაფუძნებას, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ უკრაინის ყველა ეპისკოპოსი ეთნიკური რუსები და რუსული ორიენტაციის მატარებლები იყვნენ, შესაბამისად, სამღვდელოება ეპისკოპატის გარეშე რჩებოდა. 1921 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდე ოქროპირიძემ დახმარება აღუთქვა ავტოკეფალისტ უკრაინელებს და შეჰპირდა მათ, თუ გაუგზავნიდნენ საეპისკოპოსო კანდიდატებს, ეპისკოპოსებად უკურთხებდა მცხეთაში, რითაც ეს პრობლემა გადაიჭრებოდა და ჩამოყალიბდებოდა უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის სინოდი. სამწუხაროდ, რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიებზე მიმდინარე სამოქალაქო ომის გამო საეპისკოპოსოდ გამორჩეული ორი კანდიდატი, დეკანოზები – სტეფანე ორლიკი და პავლე პოგორილკო ვერ ჩამოვიდნენ საქართველოში და მათი საეპისკოპოსო ქიროტონია მცხეთში ვერ შესრულდა.[4]

ავტოკეფალისტები ამ დაბრკოლებამ ვერ შეაჩერა და 1921 წელს კიევის სოფიის საკათედრო ტაძარში მღვდლების მიერ მოხდა საეპისკოპოსოდ არჩეულ პირთა „კურთხევა“, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში უპრეცედენტო არაკანონიკური მოვლენა იყო. ამ ფაქტმა დიდი ჩრდილი მიაყენა უკრაინელთა ავტოკეფალისტურ მოძრაობას და შექმნილი „უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“[5] (მეტსახელად „ლიპკოვსკები“, ან „სამოსვიატები“/თვითნაკურთხები) კანონიკური ეკლესიის სივრცის მიღმა აღმოჩდა. ამ არაკანონიკური ეკლესიის მეთაურად მიტროპოლიტის წოდებით არჩეულ იქნა დეკანოზი ვასილი ლიპკოვსკი, იგივე ლიპკივსკი[6]. 1920-იანი წლების პირველ ნახევარში უკრაინის სსრ-ის მართლმადიდებელი სამრევლოების

---

[4] დეკანოზი ბასილ კობახიძე, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარსული და დღევანდელობა, ჟურნ. „ზღვარი“, №1(6), 2006.

[5] უკრ. – Українська автокефальна православна церква, რუს. – Украинская автокефальная православная церковь

[6] რუს. Василий (Василь) Константинович Липковский / უკრ. Василь Костянтинович Липківський.

1/5 ამ არაკანონიკურ ეკლესიას ექვემდებარებოდა.[7] 1925 წლიდან ლიპკოვსკების იერარქიის დევნა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლებამ, ბრალად დასდო რა ნაციონალიზმი და ანტისაბჭოთა ქმედებები, რამაც საბოლოოდ ამ არაკანონიკური ეკლესიის თანდათანობითი ლიკვიდაცია გამოიწვია. ეს პროცესი საბოლოოდ 1937 წელს დასრულდა.

პარალელურად, 1930-იან წლებში პოლონეთის ახლად დაარსებული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (რომელიც ეთნიკურად დიდწილად უკრაინული იყო) იწყებს ზრუნვას უკრაინაში ავტოკეფალური ეკლესიის შესაქმნელად, რაც შესაძლებელი გახდა უკრაინის გერმანული ოკუპაციის დროს. პოლონეთის ავტოკეფალურმა მიტროპოლიტმა დიონისე ვალედინსკიმ[8] 1942 წელს დააკომპლექტა უკრაინის სინოდი მთავარეპისკოპოს პოლიკარპე სიკორსკის თავმჯდომარეობით.[9] უკრაინაში სტალინური რეჟიმის აღდგენისთანავე, 1944 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი დევნა გამოუცხადა ავტოკეფალისტ სამღვდელოებას. გადარჩნენ ისინი, ვინც ემიგრაციაში გახიზვნა მოახერხა, მათი უმრავლესობა ძირითადად აშშ-სა და კანადაში დასახლდნენ, ასევე, დასავლეთ ევროპასა და ავსტრალიაში, და იქ განაგრძეს საეკლესიო მოღვაწეობა[10]. მიუხედავად მოსკოვის საპატრიარქოს მწვავე რეაქციისა, 1990 წელს კანადის უკრაინული ეკლესია კონსტანტინოპოლმა თავის იურისდიქციაში მიიღო, ხოლო 1995 წელს აშშ-ის და დანარჩენ ქვეყნებში განფენილი უკრაინული დიასპორული ეკლესიებიც ავტონომიის უფლებით შეუერთდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. 1989-1990 წლებში, „პერე-

---

[7] იხ., დეკანოზი ბასილ კობახიძე, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარსული და დღევანდელობა, ჟურნ. „ზღვარი“, №1(6), 2006.

[8] რომლის მღვდელმსახურიც იყო დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი, არქიმანდრიტი წმ. გრიგოლ ფერაძე.

[9] ვრცლად იხ., დეკანოზი ბასილ კობახიძე, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარსული და დღევანდელობა, ჟურნ. „ზღვარი“, №1(6), 2006.

[10] უკრ. Українська Автокефальна Православна Церква в Діаспорі / რუს. Украинская автокефальная православная церковь в диаспоре.

სტროიკის“ პირობებში, შესუსტდა რა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტარული რეჟიმი, უკრაინაში კვლავ შესაძლებელი გახდა ავტოკეფალისტური მოძრაობის აღორძინება. ამერიკიდან გამოიწვიეს საბჭოთა ხელისუფლებისგან დევნილი მხცოვანი მიტროპოლიტი მსტისლავ სკრიპნიკი, რომელიც ავტოკეფალისტი სამღვდელოების კრებამ კიევისა და სრულიად უკრაინის პირველ პატრიარქად აირჩია, ჩამოყალიბდა „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია – კიევის საპატრიარქო“. ახლადარჩეული პატრიარქის ინტრონიზაცია შედგა კიევის სოფიის ისტორიულ კათედრალში.

პარალელურად, ავტოკეფალისტური იდეები მტკიცდებოდა მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის საეგზარქოსოში, რომელიც შექმნილი პოლიტიკური და საეკლესიო სიტუაციიდან გამომდინარე, 1990 წელს მოსკოვის საპატრიარქომ ავტონომიურ ეკლესიად გამოაცხადა, ხოლო უკრაინის ეგზარქოსს, კიევისა და გალიციის მიტროპოლიტ ფილარეტ დენისენკოს მიანიჭა ტიტული „უნეტარესი მიტროპოლიტი კიევისა და სრულიად უკრაინისა“. 1991 წლის 1-3 ნოემბერს კიევში გამართულმა საეკლესიო კრებამ უნეტარეს მიტროპოლიტ ფილარეტ დენისენკოს მეთაურობით, უკრაინის 23 მღვდელმთავრის ხელმოწერით შეადგინა მიმართვა მოსკოვის პატრიარქისადმი, რათა მოსკოვს გაეთავისუფლებინა უკრაინის ეკლესია თავისი დაქვემდებარებიდან და მიენიჭებინა ავტოკეფალია. ამაზე მოსკოვის საპატრიარქომ სასტიკი უარი განაცხადა, საქმეში ჩაერთო რუსეთის შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებიც, დაიწყო უკრაინელ ეპისკოპოსთა დაშინება და შანტაჟი, რასაც შედეგად ის მოყვა, რომ ეპისკოპოსთა უმეტესობამ თავისი ხელმოწერა გააუქმა. მხოლოდ უნეტარესი ფოლარეტი და რამდენიმე ეპისკოპოსი ერთგული დარჩა უკრაინის საეპისკოპოსო კრების გადაწყვეტილებისა, რის გამოც ისინი მოსკოვის საპატრიარქომ სამღვდელმთავრო ხარისხებიდან განკვე-

თა[11]. რუსული შურისძიება ამით არ დასრულებულა და 1997 წელს ფილარეტი ანათემასაც კი გადასცეს. მღვდლმთავარი ფილარეტი ამ რეპრესიულ, სადამსჯელო ქმედებებს არ შეუშინებია, ის 1992 წლიდან შეუერთდა 1990 წელს ჩამოყალიბებულ კიევის საპატრიარქოს, სადაც მას მიანიჭეს პატრიარქის მოსაყდრის წოდება, ხოლო 1995 წელს პატრიარქ ვლადიმერ რომანიუკის[12] გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ, არჩეულ იქნა კიევისა და სრულიად რუს-უკრაინის რიგით მესამე პატრიარქად. კიევის საპატრიარქო ქვეყანაში სიდიდით პირველ ეკლესიად იქცა, მისი მრევლი 20 მილიონზე მეტს ითვლის და ბევრად სჭარბობდა მოსკოვის საპატრიარქოს ქვემდებარე უკრაინის ავტონომიური მიტროპოლიის (ეგზარქოსი მიტროპოლიტი ონუფრი ბერეზოვსკი) მრევლს, რომლის სოლიდური ნაწილი ეთნიკური რუსები არიან. 1993 წელს კიევის საპატრიარქოში განხეთქილება მოხდა: გარდაცვლილი პატრიარქის, მსტისლავის ეპისკოპატის და სამღვდელოების ნაწილმა არ მოინდომა მიტროპოლიტ ფილარეტ დენისენკოსთან ერთობა და დამოუკიდებელი ეკლესია შექმნა („უკრაინის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია“), რომლის მრევლიც ბევრად ნაკლები იყო (დაახლოებით 800 000). ამ მეორე დე-ფაქტო ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურები დღიდან დაარსებისა იყვნენ: პატრიარქი დიმიტრი იარემა (1993-2000), მიტროპოლიტი მეთოდი კუდრიაკოვი (2000-2015), ხოლო 2015 წლიდან 2018 წლის 15 ნოემბრამდე – მიტროპოლიტი მაკარი მალეტიჩი. კიევის საპატრიარქოს და ამ მეორე ავტოკეფალურ ეკლესიას შორის, მიუხედავად 1993 წლის განხეთქილებისა, თანდათან ურთიერთობები ნორმალიზდა და დათბა.

ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2014 წელს, რუსეთის მიერ უკრაინის კუთვნილი ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ,

---

[11] ამაზე ვრცლად იხ., ნ. გურგენიძე, ავტოკეფალური მოძრაობა მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის საეგზარქოსოში, <https://bit.ly/2Lngqmh> [17.02.2019]

[12] ცნობილი უკრაინელი დისიდენტი სასულიერო პირი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ასევე, დონბასში მიმდინარე რუსული სეპარატისტული ომის ვითარებაში, ნათლად გამოჩნდა უკრაინელი ერისა და უკრაინის საერო ხელისუფლების წინაშე უკრაინის ერთიანი, კანონიკური, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საჭიროება და მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მიტროპოლიის კონფორ-მისტული დამოკიდებულება აგრესორი იმპერიული რუსეთის ფედერაციის მიმართ, ამის გამო მრევლის და სამღვდელოების ბევრი წარმომადგენელი განუდგა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას და ავტოკეფალისტებს შეუერთდა. 2017-2018 წლებში კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს უკრაინის პრეზიდენტმა და რადამ (პარლამენტმა) ოფიციალური მიმართეს, ასევე, შედგა მრავალმილიონიანი სახალხო პეტიცია, რომლითაც ისტორიული დედა-ეკლესიას ავტოკეფალიის მინიჭება ეთხოვა. ეს პროცესი გადამწყვეტ ფაზაში 2018 წლის ზაფხულში შევიდა, როდესაც კონსტანტინოპოლის საყდარმა უკრაინის ავტოკეფა-ლური ეკლესიისადმი მხარდაჭერა ღიად დააფიქსირა. კონსტანტი-ნოპოლის ეკლესიის 2018 წლის 11 ოქტომბრის წმინდა სინოდის ისტორიულმა სხდომამ აღდგენილად გამოაცხადა კიევის მიტ-როპოლიაზე 1685 წელს იძულებით შეწყვეტილი საეკლესიო იურისდიქცია, გაუქმებულად გამოაცხდა მოსკოვის საპატრი-არქოს მიერ მიტროპოლიტ ფილარეტ დენისენკოსა და მაკარი მალეტიჩზე, ასევე, მათ სამღვდელოებაზე გამოცხადებული განკვეთები. მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის ლოცვა-კურ-თხევით 2018 წლის 15 ნოემბერს კიევის სოფიის საკათედრო ტაძარში შედგა გამაერთიანებელი საეკლესიო კრება, სადაც „კიევის საპატრიარქოს“ ეკლესია (მეთაური ფილარეტ დენისენკო) და მეორე ავტოკეფალური ეკლესია (მეთაური მიტროპოლიტი მაკარი მალეტიჩი) გაერთიანდა, მათვე შეუერთდა მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინული ეკლესიის ორი მიტროპოლიტი: ვინიცკისა და ბარსკის სვიმეონ შოსტაცკი და პერეიასლავ-ხმელნიცკის და ვიშნეცკის ალექსანდრე დრაბინკო. ჩამოყალიბდა უკრაინის ერთიანი ავტოკეფალური ეკლესია სახელწოდებით –

„უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“ (უკრ. Православна церква України), მეთაურად არჩეულ იქნა მიტროპოლიტი ეპიფანე დუმენკო, ტიტულით – უნეტარესი მიტროპოლიტი კიევისა და სრულიად უკრაინისა. 2019 წლის 5 იანვარს კონსტანტინოპოლის წმ. გიორგის საპატრიარქო ტაძარში მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა საზეიმოდ მოაწერა ხელი უკრაინის უწმინდესი ეკლესიის ავტოკეფალიის ბოძების ტომოსს, ხოლო მეორე დღეს, ნათლისღების (ეპიფანიის) საზეიმო ერთობლივ ლიტურგიაზე ტომოსი გადასცა უნეტარეს ეპიფანეს და უკრაინის ეკლესიას.[13]

[13] დაწვრ. იხ., ამავე კრებულში, გურამ ლურსმანაშვილი, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ტომოსი,